ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 3

ქ. ონი 23 თებერვალი 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო გობეჯიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: ემზარ საბანაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ემზარ საბანაძე, ფრიდონ გოგრიჭიანი,ნოდარ ბურდილაძე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

2. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს პროექტის ,,დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ გაცნობის შესახებ.

 მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

3. ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წელს გაყიდული ქონების შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს : 1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ და აღნიშნა, რომ დადგენილებით წარმოდგენილი ფასი მისაღებია.

მოისმინეს : 2. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს პროექტის ,,დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ გაცნობის შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს თავმჯდომარის ნინო ჩხობაძის წერილი პროექტის ,,დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ შესახებ და აღნიშნა, რომ იგი გეგმავს კომისიის წევრებთან ერთად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უკანონო ნაგავსაყრელების აღწერას, რის შემდეგაც მერიასთან ერთად მოხდება სათანადო გეგმის შემუშავება, რომლის მიზანიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაბინძურების მაქსიმალურად შემცირება და სისუფთავის დაცვა იქნება.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ გარემოს დაბინძურების კუთხით სავალალო მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გადადგმული ყველა ნაბიჯი მისასალმებელია.

მოისმინეს : 3. ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წელს გაყიდული ქონების შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

ლ. ორდინიძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წელს მუნიციპალიტეტის ქონების გაყიდვა არ მომხდარა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე